ხელშეკრულება № 4

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(CPVკოდი - 37400000) 6.აპრილი 2016წელი

ერთის მხრივ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სნოს საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ტარიელ ფირანიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „სპორტ სალერ ცენტრი" მისი დირექტორის ლევან ხარებავას სახით (შემდგომდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპორტული ინვენტარის შეძენა
2. „შემსყიდველი" უკვეთავს აღნიშნულ საქონელს სკოლის საჭიროებისათვის, ხოლო „მიმწოდებელი" სკოლას მიაწვდის დაკვეთილ საქონელს.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა შეადგენს 280(ორასოთხმოცი) ლარს.

2.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3. ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მოახდენს „შემსყიდველი"

3. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი (გაწეული მომსახურება) უპასუხებს ხელშეკრულების პირობებსა და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ფორს–მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებული მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის, დაუძლეველი ძალის ზემოქმედებთ გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

4.2. ფორს მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

4.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.